რუსეთის ეკლესიის წარმომადგენელმა პრაღაში წმიდა მოწამე გორაზდის საპატივცემულო დღესასწაულში მიიღო მონაწილეობა



2021 წლის 4 სექტემბერს, წმიდა მოწამე გორაზდის ხსენების დღეს, ჩეხეთისა და მორავია-სილეზიის ეპისკოპოსის მიერ, პრაღაში წმინდანთა კირილესა და მეთოდეს საკათედრო ტაძარში სადღესასწაულო ლიტურგია აღევლინა. მიმდინარე წელს ეპისკოპოს გორაზდის ეპისკოპოსად კურთხევის 100 წლისთავი აღინიშნება.

პრაღისა და ჩეხეთის მიწების მთავარეპისკოპოს მიქაელს თანამსახურობდნენ ბერუნის მთავარეპისკოპოსი იოაკიმე, ჩეხეთის მიწებისა და სლოვაკეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელი, კარლოვი-ვარში მდებარე მეტოქის წინამძღვარი

დეკანოზი ნიკოლოზ ლიშჩენიუკი, პრაღის ეპარქიის სასულიერო პირები, ასევე სტუმარი სამღვდელოება უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიიდან.

ღვთისმსახურების დასრულების შემდეგ, გვირგვინებითა და ყვავილებით შეიმკო მემორიალური დაფა, რომელიც დადგმულია ეპისკოპოს გორაზდისა ღვაწლისა და გერმანულ-ფაშისტური ოკუპანტების ყველა მსხვერპლის მოსახსენებლად.

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

კარლოვი-ვარის პეტრე-პავლეს ტაძრის საიტის ინფორმაციის მიხედვით

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87970/